I. **სახელწოდება:** ბიბლიოთეკარი

II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 03202-პ

III. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მეოთხე

IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბიბლიოთეკარის პროფესიული სტანდარტი

VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

მოდულები - ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

VII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
ბიბლიოთეკარის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

VIII. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

IX. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზება
- ფონდის დაკომპლექტება
- ფონდის მართვა
- ფონდის დაცვა
- საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა
- საბიბლიოთეკო მომსახურება
- კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება

X. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**
- **მოცულობა:** 143 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 26 სასწავლო თვე

XI. **პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები		**სავალდებულო პროფესიული მოდულები**		**არჩევითი პროფესიული მოდულები**	
დასახელება	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**
1.კომუნიკაცია	3	10.გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	2	20.რუსული ენა	4
2.რაოდენობრივი წიგნიერება	2	11.საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	12	21.ინტელექტუალური თავისუფლება ბიბლიოთეკებში	2
3.საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	12.პრაქტიკული პროექტი - ბიბლიოთეკარი	6	22.საბიბლიოთეკო მარკეტინგი	2
4.მეწარმეობა	5	13.საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება	3	23.ღონისძიების გაფორმება და დიზაინი	7
5.პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	14.ფონდის დაკომპლექტება	5	24.ლიდერობა	3
6.ინგლისური ენა		15.ფონდის მართვა	10	25.პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
7.სამოქალაქო განათლება	5	16.ფონდის დაცვა	7		
8.ქართული ენა A2	2	17.საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა	10		
9.ქართული ენა B1	15	18.საბიბლიოთეკო მომსახურება	8		
	15	19.კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები	8		
სულ:	**52**	**სულ:**	**71**	**სულ:**	**20**

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს თსუ. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

სავალდებულო ზოგადი მოდულები

დანართი 1. მოდული „კომუნიკაცია“

დანართი 2. მოდული „რაოდენობრივი წიგნიერება“

დანართი 3. მოდული „საინფორმაციო ტექნოლოგიები“

დანართი 4. მოდული „მეწარმეობა“

დანართი 5. მოდული „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“

დანართი 6. მოდული „ინგლისური ენა“

დანართი 7. მოდული „სამოქალაქო განათლება“

დანართი 8. მოდული „ქართული ენა A2“

დანართი 9. მოდული „ქართული ენა B1“

სავალდებულო პროფესიული მოდულები

დანართი 10. მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი“

დანართი 11. მოდული „საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი“

დანართი 12. მოდული „პრაქტიკული პროექტი - ბიბლიოთეკარი“
დანართი 13. მოდული „საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება“
დანართი 14. მოდული „ფონდის დაკომპლექტება“
დანართი 15. მოდული „ფონდის მართვა“
დანართი 16. მოდული „ფონდის დაცვა“
დანართი 17. მოდული „საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა“
დანართი 18. მოდული „საბიბლიოთეკო მომსახურება“
დანართი 19. მოდული „კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები“

არჩევითი პროფესიული მოდულები
დანართი 20. მოდული „რუსული ენა“
დანართი 21. მოდული „ინტელექტუალური თავისუფლება ბიბლიოთეკებში“
დანართი 22. მოდული „საბიბლიოთეკო მარკეტინგი“
დანართი 23. მოდული „ღონისძიების გაფორმება და დიზაინი“
დანართი 24. მოდული „ლიდერობა“
დანართი 25. მოდული „პირველადი გადაუდებელი დახმარება“

დანართი 26. სასწავლო გეგმა
დანართი 27 . პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი